დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109.109222002**
თარიღი:**19/07/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 12/07/2022 წლის №108-1082219339 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, თანდართული დანართით წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწები 2022წ. **დანართი 1**

N	მისამართი	კატეგორია	საკადასტრო კოდი	მიწის დანიშნულება(საძოვარი)	მიწის დაზუსტ ფართობი/კვ.მ/	საწყისი ფასი /ლარი/	საგარანტიო /ზე 80%/ /ლარი/	ბიჯი 20% /ლარი/	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტი დმანისი , ქვემო ოროზმანის ტერიტორია , ნაკვეთი "ლენინოვკა"	სასოფლო-სამეურნეო	82.14.41.305	სათიბი	50085	751	601	150	
2	დმანისი ს. დაგარახლო	სასოფლო-სამეურნეო	82.08.42.880	სათიბი	18679	280	224	56	
3	დმანისი ს. კიზილქილისა	სასოფლო-სამეურნეო	82.11.41.206	სათიბი	48576	729	583	146	
4	დმანისი ს. დაგარახლო	სასოფლო-სამეურნეო	82.08.42.879	სათიბი	14994	225	180	45	